

ინტერნეტ ავტო აუქციონ ქარზიდზე / carbid-ზე ვაჭრობის სტანდარტული პირობები

წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში **სტანდარტული პირობები**) წარმოადგენს ინტერნეტ ავტო აუქციონ **ქარზიდზე / carbid-ზე** (შემდგომში **აუქციონი**) ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ავტო აუქციონზე მონაწილეობის წესებსა და პირობებს.

1. ტერმინთა განმარტებები:

თუ **სტანდარტული პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს ქვემოთ მოცემულ დეფინიციებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. **აუქციონი** - ინტერნეტ ავტო აუქციონი **ქარზიდი / carbid-ი**.
- 1.2. **განცხადებები და გარანტიები** – **სტანდარტული პირობების** მე-10 მუხლში მოცემული **კლიენტის** განცხადებები და გარანტიები.
- 1.3. **დანართი** – თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული **სტანდარტული პირობების** დანართ(ებ)ი (კონტექსტის შესაბამისად), რომელიც წარმოადგენს **სტანდარტული პირობების** განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
- 1.4. **ვებ-გვერდი** – აუქციონის სარგებლობაში არსებული ინტერნეტ-გვერდ(ებ)ი www.carbid.ge.
- 1.5. **კანონმდებლობა** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.
- 1.6. **კლიენტი** - **ვებ-გვერდზე** რეგისტრირებული **პირი** რომელიც სარგებლობს **აუქციონის** მომსახურებით.
- 1.7. **ლოტი** - **ვებ-გვერდზე** განთავსებული ავტომობილი ან/და სხვა სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც მინიჭებული აქვს ნომერი/კოდი და თან ერთვის მისი ტექნიკური მდგომარეობის აღწერილობა ფოტოსურათებით.
- 1.8. **მესაკუთრე** - **პირი** რომლის საკუთრებაც კონკრეტულ **ლოტზე** დგინდება **კანონმდებლობით** დადგენილი წესით და რომელსაც **აუქციონთან** გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მის საკუთრებაში არსებული ნივთის (**ლოტის**) აუქციონის წესით **ვებ-გვერდზე** რეალიზაციისთვის.
- 1.9. **მესამე პირი** – ნებისმიერი **პირი** გარდა **კლიენტისა** და **აუქციონისა**.
- 1.10. **მხარე/მხარეები** - **აუქციონი** ან/და **კლიენტი**.
- 1.11. **პირი** – ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს.
- 1.12. **ფორს-მაჟორი** – სტიქიური კატასტროფა, ხანძარი, ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტა, მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლა, პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანება, საომარი მოქმედება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და **აუქციონისთვის** გადაულახავი და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები, რომლებიც: ა) არ არის დაკავშირებული **აუქციონის** შეცდომებსა და დაუდევრობასთან, ბ) დაიწყო ან განვითარდა **სტანდარტული პირობების** ძალაში შესვლის შემდეგ და გ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს **სტანდარტული პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე.

2. ზოგადი პირობები

- 2.1. **ვებ-გვერდზე** რეგისტრაციის დასრულების დღიდან დაწყებით დასტურდება, რომ **კლიენტი** გაეცნო და დაეთანხმა წინამდებარე **სტანდარტული პირობების**, მათ შორის, აუქციონის ჩატარების ფორმებს, წესებს, პროცედურებს, პირობებს და შესაბამისად წარმოეშვა წინამდებარე **სტანდარტული პირობები** გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები.
- 2.2. **ვებ-გვერდზე** რეგისტრაციამდე **კლიენტი** უნდა გაეცნოს **სტანდარტული პირობების**. რეგისტრაციისა და **ვებ-გვერდზე** ყოველი ავტორიზაციის განხორციელებისას **კლიენტი** ავტომატურად ექვევა **სტანდარტული პირობების** მოქმედების ფარგლებში, რაც ნიშნავს იმას, რომ **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას, მასზედ რომ **სტანდარტული პირობების** მოქმედება გავრცელდეს მასზე.
- 2.3. **ვებ-გვერდზე** შესაბამისი ინფორმაციის განთავსების შედეგად **კლიენტს** ეძლევა შესაძლებლობას, მიიღოს მონაწილეობა **აუქციონში** და მასში გამარჯვების შემდგომ, **მესაკუთრისაგან** შეიძინოს **აუქციონზე** სარეალიზაციოდ განთავსებული **ლოტი**.
- 2.4. **ვებ-გვერდზე** განთავსებულ თითოეულ **ლოტს** მინიჭებული აქვს ნომერი/კოდი და თან ერთვის მისი ტექნიკური მდგომარეობის აღწერილობა ფოტოსურათებით. **ლოტის** აღწერილობაში მითითებულია მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, რაც გულისხმობს, რომ **კლიენტი** ვალდებულია და ამასთან, **მესაკუთრესთან** შეთანხმებით ეძლევა

სრული შესაძლებლობა აუქციონში მონაწილეობის მიღებამდე ადგილზე დაათვალიეროს **ლოტი**, შეამოწმოს მისი მდგომარეობა და მიიღოს სხვა მისთვის სასურველი ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, **კლიენტი** კარგავს უფლებას გამოთქვას რაიმე პრეტენზია **ლოტის** მდგომარეობასთან დაკავშირებით.

2.5. აუქციონზე **ლოტის** შეძენის შემდგომ **კლიენტს** უფლება არ აქვს განუცხადოს აუქციონს ან/და მესაკუთრეს პრეტენზია **ლოტის** ტექნიკურ გაუმართაობასთან დაკავშირებით, ვინაიდან **სტანდარტული პირობებით** მას ეკისრება ვალდებულება და ამასთან ეძლევა სრული შესაძლებლობა **ლოტის** შეძენამდე გაეცნოს მის მდგომარეობას.

2.6. აუქციონზე შესაძლებელია განთავსებულ იყოს ნებისმიერი მესამე პირის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება, რა დროსაც აუქციონსა და მესაკუთრეს შორის ურთიერთობა განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულ შემთხვევაში აუქციონის მომსახურება შემოიფარგლება მხოლოდ მესაკუთრის საკუთრებაში არსებული **ლოტის** აუქციონზე განთავსებით (**ლოტის** სურათებისა და ინფორმაციის განთავსება) და აუქციონი არ აგებს პასუხს მასში გამარჯვებული პირისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაცემაზე და მის ხარისხის შემოწმებაზე. **ლოტის** აუქციონზე განთავსების და აუქციონის წარმართვის გარდა ყველა სხვა საკითხზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ მესაკუთრესა და კლიენტს.

3. რეგისტრაციის პირობები

3.1. ვებ-გვერდზე რეგისტრაცია და აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ პირს 18 წლის ასაკიდან და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

3.2. ფიზიკური პირი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი სარეგისტრაციო ფორმაში ავსებს: სახელს, გვარს, სქესს, ელ-ფოსტას, პირად ნომერს (პირადობის მოწმობის 11 ნიშნა პირადი ნომერი), დაბადების თარიღს, საკონტაქტო მობილურს, ფაქტობრივ მისამართს. სავალდებულოა აღნიშნული მონაცემების უტყუარობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, **სტანდარტული პირობებით** განსაზღვრულ შემთხვევაში, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი დაიბრუნოს აუქციონში მონაწილეობისთვის გადახდილი საგარანტიო თანხა.

3.3. იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სარეგისტრაციო ფორმაში ავსებს: კომპანიის დასახელებას, სამართლებრივ ფორმას, საიდენტიფიკაციო ნომერს, წარმომადგენლის დასახელებას, ელ-ფოსტას, მობილურს, მისამართს. სავალდებულოა აღნიშნული მონაცემების უტყუარობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, **სტანდარტული პირობებით** განსაზღვრულ შემთხვევაში, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი დაიბრუნოს აუქციონში მონაწილეობისთვის გადახდილი საგარანტიო თანხა.

3.4. **კლიენტი**, წინამდებარე წესების 3.2. ან 3.3. პუნქტში მითითებული ველების სრულყოფილად შევსების შემდეგ დადასტურების დილაკის მეშვეობით ეთანხმება წინამდებარე **სტანდარტულ პირობებს** რა დროსაც ასევე აქვს სიახლეების მიღებაზე ხელმოწერის შესაძლებლობა.

3.5. რეგისტრაციის დასკვნით ეტაპზე სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით სისტემა აგზავნის აქტივაციის კოდს, რომელიც აქტიურია 5 (ხუთი) წუთის განმავლობაში. აღნიშნული კოდის **კლიენტის** მიერ შესაბამის ველში შეყვანის შემდეგ სრულდება რეგისტრაციის პროცესი.

3.6. ვებ-გვერდზე რეგისტრაცია **კლიენტისთვის** უფასოა.

3.7. ვებ-გვერდზე დარეგისტრირებული **კლიენტებისთვის** ავტორიზაცია შესაძლებელია შესაბამის ფორმაში **კლიენტის** სახელის (ID) და პაროლის შეყვანის გზით.

4. აუქციონში მონაწილეობის პირობები

4.1. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა ვებ-გვერდზე რეგისტრაცია და შემდგომ **კლიენტის** სახელის (ID) და პაროლის შეყვანით ვებ-გვერდზე შესვლა, რაც უპირობოდ გულისხმობს რეგისტრაციის დროს მოქმედ **სტანდარტული პირობებზე** დათანხმებას.

4.2. **კლიენტს**, რომელსაც სურს აუქციონში მონაწილეობის მიღება, ვალდებულია შესაბამის დილაკზე დაჭერით გადავიდეს საქართველოში ლიცენზირებული ბანკის ვებ-გვერდზე, სადაც შესაძლებლობა ექნება, გადაიხადოს საინტერესო **ლოტისთვის** განკუთვნილი საგარანტიო თანხა. კერძოდ, მიუთითოს საკუთარი პლასტიკური ბარათის შესახებ ინფორმაცია, საიდანაც **ლოტის** მოგების შემთხვევაში ავტომატურად ჩამოიჭრება შესაბამისი თანხა და გადაირიცხება აუქციონის ანგარიშზე.

4.3. აუქციონის შედეგები უქმდება და გამარჯვებული **კლიენტის** მიერ გადახდილი საგარანტიო თანხა სრულად და უპირობოდ გადადის აუქციონის საკუთრებაში, თუ:

ა) აუქციონში გამარჯვებულმა **კლიენტმა** წინამდებარე **სტანდარტული პირობებით** განსაზღვრულ ვადაში სრულად არ გადაიხადა **ლოტის** საფასური;

ბ) დაარღვია აუქციონში მონაწილეობის **სტანდარტული პირობებით** გათვალისწინებული რომელიმე პირობა.

5. აუქციონი

- 5.1. თითოეულ **ლოტზე აუქციონი** დაწყებულად ითვლება მისი **ვებ-გვერდზე** გამოცხადების მომენტიდან.
- 5.2. **კლიენტი** ირჩევს კონკრეტულ **ლოტს** და მას შემდეგ რაც შესაბამის ღირებულებაზე დაჭერით გადავა საქართველოში ლიცენზირებული ბანკის **ვებ-გვერდზე**, სადაც გადაიხდის შესაბამისი **ლოტისთვის** განკუთვნილ საგარანტიო თანხას, მას შესაძლებლობა ექნება, აირჩიოს ღირებულება “ზიდის განთავსება”, რის შემდგომაც იგი იწყებს **აუქციონში** მონაწილეობას. **კლიენტი** ბიდის განთავსებისთვის უთითებს საწყისი ფასის ოდენობას ან მიმდინარე ფასზე მეტ ოდენობას.
- 5.3. **აუქციონის** მსვლელობის პროცესში **კლიენტების** რაოდენობა არ არის შეზღუდული. მონაწილისათვის დაფარულია დანარჩენ **კლიენტთა** ვინაობა.
- 5.4. **აუქციონის** დროს ფასის მატება ხდება ონლაინ რეჟიმში დადგენილი მინიმალური ან მეტი ვაჭრობის ბიდის მითითებით.
- 5.5. **აუქციონში** გამარჯვებულად ითვლება **კლიენტი**, რომლის მიერ **აუქციონის** დასრულებამდე შემოთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი.
- 5.6. კონკრეტული **ლოტის** გვერდზე **კლიენტი** შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ინფორმაციას **აუქციონის** მიმდინარეობის (გაცხადებული ფასების, ბიდების, დროისა და სხვა) შესახებ და განახორციელოს საკუთარი ფასის დადება შესაბამისი ბიდის გათვალისწინებით.
- 5.7. **კლიენტის** მიერ ბიდის განთავსება განიხილება როგორც მისი თანხმობა აღნიშნული **ლოტის** მოცემულ ფასად შემენის თაობაზე. ყოველი შემდგომი ბიდის განთავსება ზრდის **ლოტის** ფასს.
- 5.8. **აუქციონი** ცხადდება დასრულებულად **აუქციონის** ვადის ამოწურვისთანავე. **აუქციონის** დასრულების ვადა მითითებულია თითოეული **ლოტისთვის**. თუ **კლიენტის** მიერ ბიდის განთავსება მოხდა **აუქციონის** ვადის ამოწურვამდე დარჩენილი 5 წუთის განმავლობაში, **აუქციონის** ვადა გახანგრძლივდება 3 წუთით და ასე გაგრძელდება ვაჭრობის დასრულებამდე.
- 5.9. **აუქციონის** დასრულების შემდგომ სისტემა გამარჯვებული **კლიენტს** ელექტრონულ ფოსტაზე ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე აგზავნის შესაბამის შეტყობინებას.

6. აუქციონში გამარჯვებულთან გარიგების გაფორმების წესი და პირობები

- 6.1. **აუქციონის** დასრულებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებული **კლიენტი** ვალდებულია **ვებ-გვერდზე** არსებულ მის პროფაილში არსებულ „ჩემი აუქციონების“ გვერდზე აირჩიოს „დასრულებული აუქციონები“, საიდანაც შესაძლებლობა ექნება, შესაბამის ღირებულებაზე დაჭერით გადავიდეს საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების **ვებ-გვერდზე** და გადაიხადოს მოგებული **ლოტის** გადასახდელი თანხა სრულად.
- 6.2. **აუქციონში** გამარჯვებული **კლიენტი** ვალდებულია 6.1. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადად, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, გამოცხადდეს **მესაკუთრის** მიერ მითითებულ მისამართზე და წარმოადგინოს: ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, წარმომადგენლის პირადობის მოწმობა და უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი/მინდობილობა.
- 6.3. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია **აუქციონში** გამარჯვებული ფიზიკური პირის მიერ პირადად გამოცხადება 6.1-6.2. პუნქტებით განსაზღვრულ დროსა და ადგილას, მის ნაცვლად შესაძლებელია გამოცხადდეს **აუქციონში** გამარჯვებული პირის წარმომადგენელი, რომელიც **მესაკუთრეს** წარმოუდგენს შესაბამის მინდობილობასა და პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.
- 6.4. იმ შემთხვევაში, თუ **აუქციონში** გამარჯვებული **კლიენტი** არ გამოცხადდება **მესაკუთრესთან** მოგებული **ლოტის** გასაფორმებლად 6.1-6.2. პუნქტებით განსაზღვრულ დროსა და ადგილას, **მესაკუთრის** მოთხოვნით გაუქმდება **აუქციონის** შედეგები და **კლიენტის** მიმართ გამოყენებულ იქნება წინამდებარე **სტანდარტული პირობებით** გათვალისწინებული უფლებები, მათ შორის, **აუქციონი** უპირობოდ დაიტოვებს **კლიენტის** მიერ უკვე გადახდილ საგარანტიო თანხას.
- 6.5. გამარჯვებული **კლიენტი აუქციონიდან** მიღებული შეტყობინების საფუძველზე 6.1 პუნქტით დადგენილ ვადაში სრულად ფარავს **ლოტის** შესყიდვის ფასს **სტანდარტული პირობების** შესაბამისად.
- 6.6. **მესაკუთრესა** და **აუქციონში** გამარჯვებულ პირის ან მისი უფლებამოსილ წარმომადგენელს შეთანხმებულ დროს და ადგილას გამოცხადების შემდგომ **მესაკუთრესა** და გამარჯვებულს შორის შეიძლება გაფორმდეს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება.
- 6.7. **მესაკუთრე** და **აუქციონში** გამარჯვებული პირი ერთმანეთში დამოუკიდებლად თანხმდებიან **ლოტის** რეგისტრაციასთან (გადაფორმებასთან) დაკავშირებულ საკითხებზე.

7. მხარეთა უფლებამოსილება

7.1. აუქციონი უფლებამოსილია:

7.1.1. შეწყვიტოს აუქციონი ტექნიკური პრობლემის, რაიმე შეცდომის, უზუსტობის, მომხმარებლის მხრიდან უკანონო მოქმედებების განხორციელების ან სხვა მიზეზების გამო, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ვებ-გვერდს, კლიენტს ან/და მესაკუთრეს;

7.1.2. გააკონტროლოს ყველა მოქმედება კლიენტის მხრიდან და რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიიღოს შესაბამისი ზომები, კერძოდ, დაბლოკოს კლიენტი, შეუზღუდოს კლიენტს (იმავე სახელის, გვარის და პირადი ნომრის მქონე პირს) ხელახალი რეგისტრაციის უფლება.

7.1.3. კლიენტის მიერ წინამდებარე სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან/და საკუთარი შეხედულებისამებრ გააუქმოს აუქციონის შედეგები.

7.2. კლიენტი უფლებამოსილია:

7.2.1. ნებისმიერ დროს განაახლოს თავისი პირადი მონაცემები.

7.2.2. მიიღოს აუქციონზე გამოტანილი ლოტის შესახებ აუქციონის ხელთ არსებული, კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი ინფორმაცია.

7.2.3. მოითხოვოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი საგარანტიო თანხა იმ პირობით, რომ თანხის გატანის მომენტისთვის იგი არ მონაწილეობს მიმდინარე აუქციონში ან/და არ ფიქსირდება გამარჯვებულად ჩატარებულ აუქციონში ან/და მის მიერ 3.2 ან 3.3 პუნქტში მითითებული მონაცემები ზუსტია.

7.2.4. მესაკუთრისგან მოითხოვოს ლოტის ფაქტობრივი ადგილსამყოფელზე მისი დაშვება, დაათვალიეროს მისთვის საინტერესო ლოტი, შეამოწმოს ლოტის მდგომარეობა, რაც ცალსახად არ გულისხმობს ლოტის დაქოქვას, რადგან ლოტი როგორც წესი დაზიანებულია და დაქოქვის შედეგად შესაძლებელია დამატებით დაზიანდეს. კლიენტს აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაიცავს მესაკუთრის მიერ დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, მესაკუთრე უფლებამოსილია გადადოს ლოტის ფაქტობრივი ადგილსამყოფელზე კლიენტის დაშვება, თუ არსებობს გადადების შესაბამისი მიზეზი.

7.3. კლიენტი ვალდებულია:

7.3.1. დაიცვას წინამდებარე სტანდარტული პირობები.

7.3.2. აუქციონის დასრულებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში ანაზღაუროს შეძენილი ლოტის ღირებულება სრულად;

7.3.3. სრულად დაფაროს ლოტის მის რეგისტრირებულ საკუთრებაში გადასვლის/გადაფორმების ხარჯები;

7.3.4. ლოტის მის რეგისტრირებულ საკუთრებაში გადასვლიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს შეძენილი ლოტის გაყვანა მისი განთავსების ადგილიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოტის შემდგომი დაზიანების/განადგურების რისკი გადადის გამარჯვებულ კლიენტზე. ამასთან, ლოტის მესაკუთრის სადგომზე განთავსება ფასიანია და შეადგენს დღეში 50 ლარს. მესაკუთრე უფლებამოსილია კლიენტს საკუთრებაში გადასვლიდან 2 (ორი) სამუშაო დღის შემდეგ კლიენტს დაარიცხოს ლოტის სადგომზე დგომის ღირებულება და მის გადახდამდე არ გაატანოს მანქანა;

7.3.5. კლიენტს არ აქვს უფლება ფასების ხელოვნურად გაზრდის მიზნით მონაწილეობა მიიღოს აუქციონში, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონი უფლებამოსილია გააუქმოს კლიენტის პროფილი, შეზღუდოს იგივე კლიენტის ხელახალი რეგისტრაცია, საგარანტიო თანხა (ასეთის არსებობისას) ჩარიცხოს საკუთარ ანგარიშზე.

8. ანგარიშსწორება

8.1. აუქციონში გამარჯვებული კლიენტის მიერ ლოტის შესყიდვის ფასის სრულად გადახდა წარმოებს აუქციონის დასრულებიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში ვებ-გვერდზე მის პროფაილში არსებული „ჩემი აუქციონები“ გვერდზე „დასრულებული აუქციონები“-დან, საიდანაც შესაძლებელია შესაბამისი ღირებულება დაჭერით გადავიდეს საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ვებ-გვერდზე და სრულად გადაიხადოს მოგებული ლოტზე გადასახდელი თანხა.

8.2. მესაკუთრე უფლებამოსილია, არ გადასცეს ფაქტობრივ მფლობელობაში აუქციონში გამარჯვებულ კლიენტს ლოტი ნასყიდობის ფასის ან/და ლოტის სადგომზე მანქანის განთავსების საფასურის სრულად გადახდამდე.

8.3. აუქციონში გამარჯვებულ კლიენტს ლოტის რეგისტრირებულ საკუთრებაში გადაცემის/გადაფორმების (მათ შორის, დათვალიერების) ხარჯებს სრულად ფარავს აუქციონში გამარჯვებული კლიენტი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. თუ სტანდარტული პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ სტანდარტული პირობების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და სტანდარტული

პირობებით დადგენილი წესით, ხოლო ზიანის (ზარალის) ანაზღაურება მხარეებს არ ათავისუფლებს სტანდარტული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან (გადახდისაგან).

9.2. **ფორს-მაჟორის მოქმედების განმავლობაში არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს სტანდარტული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ამასთან:**

9.2.1. **მხარე, რომელსაც დაუდგა ფორს-მაჟორი, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის და მისი/მათი სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.**

9.2.2. **შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ი, თუ ისინი არ წარმოადგენენ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებს (გარემოებებს) ან მეორე მხარეს ეჭვი შეაქვს მათ ნამდვილობაში, შესაბამისი მხარის მიერ ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის თაობაზე ცნობის მიღებიდან ან შესაბამისი მხარის მიერ ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის არსებობაზე ეჭვის გამოთქმის თაობაზე შეტყობინების მეორე მხარისათვის გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის არსებობა უნდა დადასტურდეს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ.**

9.2.3. **თუ ფორს-მაჟორის მოქმედება, შესაბამისი მხარის მიერ ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის თაობაზე ცნობის ან ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის არსებობის დადასტურების თაობაზე სათანადო ორგანოს დასკვნის მიღების თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, აღნიშნული 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღიანი ვადის გასვლიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღის ვადაში მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ სტანდარტული პირობების ბედი, წინააღმდეგ შემთხვევაში სტანდარტული პირობები ძალადაკარგულად ჩაითვლება.**

9.3. **მიუხედავად სტანდარტული პირობების 9.1. პუნქტით განსაზღვრული გარანტიებისა, კლიენტის მიერ სტანდარტული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად აუქციონი უფლებებისა და მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, კლიენტი აცხადებს წინასწარ თანხმობას აუქციონის სრულ უფლებამოსილებაზე, საკუთარი შეხედულებისამებრ არ გადაუხადოს კლიენტს სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული გადასახდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც შესაბამისი მოცულობით ჩაითვლება (გაიქვითება) კლიენტის მიერ აუქციონისთვის სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული გადასახდელის (პირგასამტეხლო, ზიანის (ზარალის) ანაზღაურება და სხვა) ანგარიშში.**

10. განცხადებები და გარანტიები

10.1. **კლიენტი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:**

10.1.1. **სტანდარტული პირობების დადების დროისათვის არის/იქნება ქმედუნარიანი (მათ შორის, შექმნილი კანონმდებლობით დადგენილი წესით);**

10.1.2. **სტანდარტული პირობების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;**

10.1.3. **აუქციონის მიერ მომსახურების გაწევისას, კლიენტის მიერ აუქციონისთვის წარდგენილი/გადაცემული ინფორმაცია/მონაცემები ზუსტი, უტყუარი და სრულია.**

10.1.4. **აუქციონისგან მომსახურების მიღებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებების პირობები ან კლიენტის სხვა ვალდებულებები (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარეგულირებელი, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც კლიენტი პასუხისმგებელია. სტანდარტული პირობების პირობებით განსაზღვრული მომსახურების მიღება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის მხარესაც კლიენტი წარმოადგენს;**

10.1.5. **მომავალში დანართის დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებული იქნება ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;**

10.1.6. **სტანდარტული პირობები იდება/დაიდება მის მიერ ნებაყოფლობით, აუქციონის ან მესამე პირის მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;**

10.1.7. **სტანდარტული პირობების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), კანონმდებლობის ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც ის პასუხისმგებელია;**

10.1.8. **სტანდარტული პირობების დადების მომენტისათვის ის არ მონაწილეობს არც ერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითიც საფრთხე ექმნება მის აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ სტანდარტული პირობების შესრულებას;**

10.1.9. **სტანდარტული პირობების** დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი საქმიანობა ან/და ქმედება შესაბამისობაში არის/იქნება საკუთარ წესდებასთან ან/და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტთან და ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კანონმდებლობასთან;

10.1.10. **სტანდარტული პირობების** დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი **სტანდარტული პირობების** ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს **კლიენტის** მიერ **სტანდარტული პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

10.1.11. **სტანდარტული პირობების** დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი მხრიდან ადგილი არ აქვს/ექნება **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს (ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის და სხვა), მათ შორის: ტერორიზმი, ნარკოტიკული დანაშაული, დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ, დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ, დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წეს(ებ)ის წინააღმდეგ, დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ, დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ, დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ და ფულად-საკრედიტო სისტემაში. ამასთან, ერთმნიშვნელოვნად:

10.1.11.1. არ არის/იქნება დაკავებული იმგვარი საქონლის ან/და პროდუქტის ვაჭრობით ან/და წარმოებით თუ სხვა საქმიანობით, რაც აკრძალულია **კანონმდებლობით**;

10.1.11.2. არ აწარმოებს ან/და ვაჭრობს/ივაჭრებს იარაღით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი ვაჭრობა წარმოადგენს **კლიენტის** ძირითად საქმიანობას), რადიოაქტიური მასალებით (გარდა სამედიცინო ან/და ხარისხის კონტროლის აპარატურისა);

10.1.11.3. არ იყენებს/გამოიყენებს ძირითად საქმიანობაში არასრულწლოვანთა ან იძულებით შრომას;

10.1.11.4. უზრუნველყოფს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლებას;

10.1.12. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული **აუქციონის** მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით **სტანდარტული პირობების** დასადებად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ **აუქციონისთვის** წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება **კანონმდებლობის** შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას;

10.1.13. მისთვის ცნობილია, რომ **აუქციონი** მკაცრად კრძალავს **აუქციონის** უფლებამოსილი **პირის**, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს ღირებულების მქონე რაიმე ნივთის/არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას ან მიღებას (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), ამა თუ იმ **პირის**, **აუქციონის**, მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** ან მისი **კლიენტის** მიერ სარგებლის მიღების, ბიზნესის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ან შენარჩუნების ან/და სხვაგვარი ბიზნეს უპირატესობის მიღების მიზნით;

10.1.14. მას (მათ შორის არც მის დირექტორს, უფლებამოსილ **პირს**, წარმომადგენელს, თანამშრომელს ან სხვა პერსონალს) ან მასთან დაკავშირებული **პირს** ან/და მის აფილირებულ **პირს**:

10.1.14.1. პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია ან მიუღია (ან ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს), ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული გადასახადი, ქრთამი ან ანაზღაურება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს **სტანდარტული პირობებს**; ან/და

10.1.14.2. არ განუხორციელებია რაიმე ქმედება (ფარული შეთანხმების ჩათვლით), რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა **სტანდარტული პირობების** დადებაზე, რომლის მიზანია ფასების ხელოვნური რეგულირება ან/და არაკონკურენტული გარემოს შექმნა; ან/და

10.1.14.3. არ შეუთავაზებია ან მიუღია ღირებულების მქონე რაიმე ნივთი/არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა **აუქციონის**, მისი უფლებამოსილი **პირის**, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** ქმედებებზე, ასევე რომელიმე ზემოაღნიშნული **პირის** მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის მიმართ, ბიზნეს უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების, ან ბიზნესის წარმოების მიზნით; ან/და

10.1.14.4. სხვაგვარად არ ყოფილა ჩაბმული კორუფციულ საქმიანობაში.

10.2. ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევა გამოიწვევს **კლიენტისათვის სტანდარტული პირობებით** გათვალისწინებული ნებისმიერი მომსახურების ან მისი ნაწილით სარგებლობის უფლების შეწყვეტას ან/და **სტანდარტული პირობების** შეწყვეტას. ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამოირიცხავს **კლიენტის** ან/და მისი დირექტორის, უფლებამოსილი **პირის**, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია **კანონმდებლობით** (მათ შორის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც).

10.3. კლიენტის აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ სტანდარტული პირობების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად სტანდარტული პირობების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

10.4. კლიენტი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს აუქციონს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ განცხადებებთან და გარანტიებთან ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება კლიენტის აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ სტანდარტული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას.

10.4.1. მხარეები აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ აუქციონი მხოლოდ კლიენტის ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შეასრულებს სტანდარტული პირობებით ნაკისრ ვალდებულებებს.

10.4.2. კლიენტი ყველანაირი საშუალებით უზრუნველყოფს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა სტანდარტული პირობების მთლიანი ვადის განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს აქ მოყვანილი გარანტიების დარღვევას.

10.4.3. აღნიშნული განცხადებების დარღვევის შემთხვევაში (არ იზღუდება აუქციონის უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ კლიენტი ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, კლიენტი თანახმაა აუქციონს აუნაზღაუროს და დაიცვას აუქციონი ნებისმიერი ზარალისგან (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც აუქციონი გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას;

11. კომუნიკაცია მხარეთა შორის

11.1. თუ სტანდარტულ პირობებში სხვაგვარად არ არის მითითებული ან კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, აუქციონი ყველა შეტყობინებასა და სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებულ სხვა სახის ინფორმაციას გაუგზავნის/მიაწვდის კლიენტს ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით, მათ შორის ინფორმაციის/შეტყობინების ვებ-გვერდზე განთავსების გზით ან/და კურიერის ან/და რეგისტრირებული ფოსტის ან/და ფაქსის ან/და ელექტრონული ფოსტის ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით ან/და კლიენტის მიერ განაცხადში მითითებულ მისამართზე ინფორმაციის/შეტყობინების გაგზავნით ან/და აუქციონის მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა კომუნიკაციის წესით.

11.2. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას, თუ კონკრეტული მომსახურებით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება დეკემბის, ტელექსის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან აუქციონის მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის (მათ შორის, როდესაც გამგზავნ მხარეს წარმოადგენს აუქციონის ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების) გზით, იმ პირობით, რომ კლიენტის მიერ აუქციონისთვის შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში, აუქციონს მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში აუქციონს წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.

11.3. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:

11.3.1. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების ან დეკემბის გაგზავნის შემთხვევაში – (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია აუქციონის მიერ, გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი); (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია კლიენტის მიერ, აუქციონის კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო სამუშაო დღეს;

11.3.2. ფაქსის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის (მათ შორის, როდესაც გამგზავნ მხარეს წარმოადგენს აუქციონი - ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების) შემთხვევაში – (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია აუქციონის მიერ, გაგზავნის თარიღიდან მეორე სამუშაო დღე; (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია კლიენტის მიერ, აუქციონის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დადასტურების ან შესაბამისი ქმედების განხორციელების თარიღიდან.

11.4. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

11.5. მხარეები ურთიერთობას განახორციელებენ სტანდარტული პირობებით განსაზღვრულ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით). მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

11.6. იმ შემთხვევაში, თუ სტანდარტული პირობებს წარმოადგენს ერთზე მეტი კლიენტი აუქციონის მიერ ერთ-ერთი კლიენტისთვის გაგზავნილი ნებისმიერი სახის შეტყობინება ჩაითვლება ყველა კლიენტისთვის გაგზავნილ შეტყობინებად, ხოლო ერთ-ერთი კლიენტის მიერ შეტყობინების მიღება ყველა კლიენტის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღებად.

11.7. სტანდარტული პირობებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს შეტყობინების განხორციელება სტანდარტული პირობების სტანდარტული პირობების 11.1. პუნქტით გათვალისწინებული კომუნიკაციის კონკრეტულად ერთ-ერთი საშუალებით, ან განსხვავებული ფორმით.

12. სტანდარტული პირობების მოქმედება და შეწყვეტა

12.1. სტანდარტული პირობები ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი დადების მომენტიდან და თუკი სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული განაცხადით ან/და დანართით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოქმედებს მხარეთა მიერ სტანდარტული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

12.2. მხარეები უფლებამოსილნი არ არიან ცალმხრივად, სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტონ მომსახურება ან/და სტანდარტული პირობები, თუ სტანდარტული პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12.3. შესაძლებელია, მომსახურების ან/და სტანდარტული პირობების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

12.3.1. აუქციონის მიერ ცალმხრივად, თუ: ა) სტანდარტული პირობების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე აუქციონი უარს განაცხადებს მომსახურებაზე ან ბ) კლიენტი სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს სტანდარტული პირობებით განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, განცხადებებს და გარანტიებს, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

12.3.2. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

12.3.3. სტანდარტული პირობებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები, წინააღმდეგობაში არ მოდის სტანდარტულ პირობებთან.

12.4. აუქციონი უფლებამოსილია სტანდარტული პირობების 12.3.1. და 12.3.3. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას ცალმხრივად, ზიანის (ზარალის) ანაზღაურების გარეშე, სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს მომსახურება ან/და სტანდარტული პირობები კლიენტისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, კლიენტის მიერ შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, თუ ამავე შეტყობინებით მომსახურების ან/და სტანდარტული პირობების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის სხვა ვადა ან/და პირობები არ არის გათვალისწინებული.

12.5. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი კანონმდებლობის საფუძველზე და მის შესაბამისად მიიღებს სტანდარტული პირობების ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს აუქციონს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 60 (სამოცი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ხოლო თუ სტანდარტული პირობებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სტანდარტული პირობები უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადებში ან/და აუქციონს მიზანშეწონილად მიაჩნია სტანდარტული პირობების უფრო მოკლე ვადებში შეწყვეტა, სტანდარტული პირობები შეიძლება უფრო მოკლე ვადებშიც შეწყდეს.

12.6. აუქციონის მიერ სტანდარტული პირობების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს აუქციონს მომსახურების საფასური მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული მომსახურების შესაბამისად.

12.7. სტანდარტული პირობების შეწყვეტის შემთხვევაში:

12.7.1. აუქციონი ვალდებულია დაუბრუნოს კლიენტს მომსახურების შესასრულებლად მიღებული ქონება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

12.7.2. აუქციონი უფლებამოსილია დააკავოს კლიენტის მიერ აუქციონისათვის გადახდილი ავანსის თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც გაიქვითება სტანდარტული პირობების შეწყვეტის მომენტისთვის აუქციონის მიერ ფაქტობრივად შესრულებული მომსახურებისათვის კლიენტის მიერ აუქციონისათვის გადასახდელ მომსახურების საფასურში.

12.8. **სტანდარტული პირობების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **კლიენტს სტანდარტული პირობებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

12.9. თუ **სტანდარტული პირობების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული **სტანდარტული პირობებით**, მაშინ **მხარეები** იხელმძღვანელებენ შესაბამისი **კანონმდებლობით**.

13. ცვლილებები და დამატებები

13.1. **აუქციონი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, **ვებ-გვერდზე** შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით ან/და **აუქციონისთვის** მისაღები სხვა ფორმით, თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, შეცვალოს **სტანდარტული პირობები**. ამგვარი ცვლილება სავალდებულოა **კლიენტისთვის** მისი გამოქვეყნების დღის მომდევნო დღიდან, თუ **აუქციონის** მიერ ან/და **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამასთან, აღნიშნული ცვლილებები შესაძლებელია შეეხოს, როგორც **კლიენტს** გარკვეულ ჯგუფს, ისე კონკრეტულ **კლიენტს**.

13.1.1. თუ **სტანდარტულ პირობებში** ცვლილება/დამატება ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ, ან/და არ აუარესებს **კლიენტის** მდგომარეობას, ან/და ცვლილება/დამატება ეხება ახალ მომსახურებას, რომელიც არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის **სტანდარტული პირობებით** გათვალისწინებულ მომსახურებას, **აუქციონი** არ არის ვალდებული შეატყობინოს **კლიენტს** ასეთი ცვლილების/დამატების შესახებ.

13.1.2. იმ შემთხვევაში თუ **კანონმდებლობით** გათვალისწინებული ცვლილების/დამატების ძალაში შესვლამდე გათვალისწინებულია წინასწარ შეტყობინების ვადა, ნებისმიერი ასეთი ცვლილება/დამატება ჩაითვლება **კლიენტთან** შეთანხმებულად, თუ **კლიენტი** ცვლილების/დამატების ძალაში შესვლამდე არ შეატყობინებს **აუქციონს** რომ არ ეთანხმება ცვლილებას/დამატებას.

13.2. **სტანდარტულ პირობებში** შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წარმოადგენს **სტანდარტული პირობების დანართს** და მის განუყოფელ ნაწილს.

14. პრეტენზიები და დავები

14.1. **სტანდარტული პირობებიდან** გამომდინარე პრეტენზიები **მხარეებმა** შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები **მხარე** ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე **მხარეს** მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

14.2. **სტანდარტული პირობების** ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, **სტანდარტული პირობების** არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს.

14.3. **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **აუქციონის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

15. სხვა პირობები

15.1. **სტანდარტული პირობების** საფუძველზე გაწეული მომსახურების შედეგად მიღებულ პროდუქტზე (უძრავ-მომრავი ნივთები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე), მათ შორის, **ვებ-გვერდზე** განთავსებულ ინფორმაციაზე, კერძოდ ტექსტი, ვიდეორგოლები, ფოტო მასალა და ა.შ საავტორო ქონებრივი უფლებები ეკუთვნის **აუქციონს**.

15.2. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **სტანდარტული პირობების** შინაარსი ზუსტად გამოხატავს **მხარეთა** ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა **სტანდარტული პირობების** შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

15.3. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **სტანდარტული პირობების** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება **სტანდარტული პირობებით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

15.4. ერთ-ერთი **მხარის** მხრიდან **სტანდარტული პირობების** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე **მხარის** მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება **სტანდარტული პირობების** ან/და **კანონმდებლობის** ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

15.5. **სტანდარტული პირობების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად **სტანდარტული პირობების** ან/და მათი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა **სტანდარტული პირობებით** (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

- 15.6. **სტანდარტული პირობებაში** მხოლოდით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით, კონტექსტის შესაბამისად.
- 15.7. **სტანდარტული პირობების** მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს **სტანდარტული პირობების** ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.
- 15.8. **სტანდარტული პირობებაში** გამოქვეყნებული ტექსტი მოყვანილია განმარტებულ ტერმინთა გამოსაყოფად, მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს **სტანდარტული პირობების** ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.
- 15.9. **სტანდარტული პირობების დანართზე** სრულად ვრცელდება **სტანდარტული პირობების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება. ამასთან, **სტანდარტული პირობების** და **სტანდარტული პირობების დანართის** პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარი **დანართის** პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლად დადებულია ამგვარი **დანართი**.
- 15.10. **სტანდარტული პირობები** მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა **მხარეთა** უფლებამონაცვლეების / სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ **სტანდარტული პირობების** ან/და მისი მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით **კანონმდებლობა** სხვა რამეს არ ითვალისწინებს.
- 15.11. **კლიენტს** უფლება არ აქვს **აუქციონის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირს** გადასცეს ან გადააბაროს მასზე **სტანდარტული პირობებით** (მათ შორის, მისი **დანართით**) ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. **აუქციონის** უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა **კანონმდებლობით** ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, ეს დებულება არ გამორიცხავს **აუქციონის** უფლებას მიიღოს **მესამე პირისაგან** შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანახმაა თუ არა **მესაკუთრე**.
- 15.12. **სტანდარტული პირობები** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **სტანდარტული პირობებით**, **მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით.
- 15.13. **სტანდარტული პირობები** შედგენილია ქართულ ენაზე. **სტანდარტული პირობების** ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ნორმები ვრცელდება, ასევე **კლიენტს** და **აუქციონს** შორის ურთიერთობაზე ან/და **სტანდარტული პირობების**, თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.